პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1976
შაბათი
5
ოქტომბერი
№ 234
(16664)
ფასი 2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

## მემილიონე!..

თბილისი. ამ დღეებში თბილისის გაზის აპარატურის ქარხანაში საზეიმო ვითარებაში დამზადდა მემილიონე საიუბილეო გაზქურა. მისი დამზადების პატივი წილად ხვდა მოწინავე ცვლას, რომელსაც ა. მიშელაძე ხელმძღვანელობს. საიუბილეო აპარატი ტექნიკური კონტროლის განყოფილებას პირველი წარდგენისთანავე ჩაბარდა, ე. ი. იგი საუკეთესო ხარისხისა იყო.

თვრამეტიოდე წლის წინათ ამუშავდა თბილისის გაზაპარატის ქარხანა და მისი პროდუქციის მოცულობა წლითიწლობით იზრდებოდა. 1958 წელს ინჟინერ ვ. ალფაიძის, ზეინკალ ნ. იმელიანოვის, ტექნოლოგ ი. მენშტეინის, ოსტატ ა. პოპოვის მიერ დამზადებული პირველი გაზქურის მხოლოდ 557 ნიმუში გამოვიდა, 1959 ...

... ბისათვის გაშლილ შეჯიბრებაში და წინათ ნაკისრი 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ნაცვლად გადაწყვიტა წლეულს 150 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვას. („კომუნისტის“ კორ.).

**170**

**მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია**

# ახლა ნუდება მომავალი მოსავლის ბედი

## სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

# ყოველი დღე, საათი — დამკვრელური

### საქართველოს მეჩაიეებისადმი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მილოცვამ ძალა და ენერგია შემატა სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ყველა მშრომელს!

**დამკვრელური შრომით წარმატებას მივაღწევთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, შევასრულებთ მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებებს სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში. — ასეთია ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა პირობა.**

## მეცხოველეთა სიტყვა

სულით და გულით ვულოცავ ჩვენს მეჩაიეებს იმ დიდ გამარჯვებას, რასაც წლეულს მიაღწიეს, რისთვისაც ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება დაიმსახურეს. ბრეჟნევის მისალმებაში გამოთქმულია იმედი, რომ რესპუბლიკაში სხვა პროდუქტების წარმოების გეგმები გადაჭარბებით შესრულდება.

საქართველოს მეცხოველეები ენერგიას არ ზოგავენ, რომ მეჩაიეებს მხარი გაუსწორონ, გადამეტებით შეასრულონ ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები.

ჯაფარიძის კოლმეურნეობამ წლეულს დიდი გადამეტებით შე- ...

... შევასრულებთ.

**ზაირა ალხანიშვილი,**
წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი.

## მალე ნარინჯების რთველი იქნება

ჩვენი რაიონის მეჩაიეებმა საქართველოს მეჩაიეთა დიდ გამარჯვებაში საპატიო წვლილი შეიტანეს. ლ. ი. ბრეჟნევის მისალმე- ...

... უდანაკარგოდ დავამთავრებს.

**გ. ჩაჩიბაია,**
გალის რაიონის კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი.

## ჭარხლის სიუხვე

ხაშურის რაიონში 21.000 ტონა შაქრის ჭარხლისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გადამწყვეტი ფაზა და- ...

... ჰექტარზე 350 ცენტნერი უნდა მივიღოთ, მაგრამ ამას როდი დავჯერდებით, 400 ცენტნერზე ნაკლებს არ მივიღებთ.

რაიონში ბრიგადებს შორის შაქრის ჭარხლის ასაღებად გაჩაღებულ შეჯიბრებაში ერთ-ერთ საპატიო ადგილს დავიკავებთ.

**ნ. ბარბაქაძე,**
ხაშურის რაიონის ოსიაურის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

## აღვაფრთოვანებს შრომაში

მხურვალედ ვულოცავთ ჩვენს გმირ მეჩაიეებს იმ დიდ გამარჯვებას, რაც მათ წლეულს, მეათე ხუთწლედის პირველ წელიწადს, მოიპოვეს. ამ გამარჯვებისათვის მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება დაიმსახურეს. ჩვენი პარტიის ლიდერის ეს მისალმება საქართველოს ყველა მშრომელს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს აღაფრთოვანებს შრომაში.

ჩვენ წლეულს დიდი ბრძოლა და შრომა დაგვჭირდა, რომ მოყინული ზვრები აღგვედგინა. ყინვით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად სხვადასხვა რეზერვი ავამოქმედეთ. იმედი გვაქვს, რომ ...

... არის. ჰექტარზე 49 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ.

საიმედოდ გვაქვს საქმე სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. იმედი გვაქვს ხუთწლედის პირველ წელს კარგი მაჩვენებლებით დავამთავრებთ.

**ა. მარგალიტაშვილი,**
თელავის რაიონის სანიორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

# რთველი — დროულად, უდანაკარგოდ!

## სად რამდენი მოიკრიფა
(ტონობით — 4 ოქტომბრისათვის)

| | |
|---|---|
| გურჯაანი | 33.013 |
| თელავი | 10.964 |
| წითელწყარო | 10.010 |
| სიღნაღი | 8.689 |
| ყვარელი | 8.271 |
| ბოლნისი | 4.755 |
| საგარეჯო | 1.847 |
| ახმეტა | 1.782 |
| მარნეული | 1.564 |
| გარდაბანი | 1.197 |
| ლაგოდეხი | 1.153 |
| მაიაკოვსკი | 267 |
| ზესტაფონი | 233 |
| საჩხერე | 212 |
| მცხეთა | 136 |
| თერჯოლა | 124 |
| წყალტუბო | 24 |
| წულუკიძე | 17 |
| სამტრედია | 13 |
| თეთრი წყარო | 6 |
| ტყიბული | 3 |
| სულ საქართველოში | 84.280 |






გურჯაანელთა ზვრებში რთველია. ყველა ცდილობს დროზე და უდანაკარგოდ მოიკრიფოს ყურძენი, მხარი უსწოროს მეჩაიეებს. ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ რთველი მალე დამთავრდება და ყურძნის დამზადების გეგმასაც შეასრულებენ.

სურათზე: რთველი გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. ბრიგადირი ვაჟა იაგანაშვილი (შუაში) და მევენახეები ქეთო მინდორაშვილი და ნატო ნადაშვილი ხარობენ ბარაქიანი მოსავლით.

ი. მაღინაშვილის ფოტო.

## მიაღწიეს პირველ მიჯნას

ტყიბული. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არ თმობს ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს (უფროსი ლ. გამყრელიძე, მთავარი ინჟინერი ო. ცირეკიძე) კოლექტივი. რუსთაველთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, სახელმწიფო დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებამ მნიშვნელოვნად გაზარდა უშუალოდ დაზგაზე მომუშავე მუშის შრომის ნაყოფიერება. ახლა თვითეული მუშა საშუალოდ თვეში გაცილებით მეტ პროდუქციას ქმნის, ვიდრე წინა წლებში. სწორედ ამის შედეგია ის, რომ სახელოსნოს კოლექტივმა წელს უკვე 45 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია აწარმოვა და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ნაკისრ ვალდებულებას. სახელოსნოში არ მოიძებნება ისეთი უბანი, ბრიგადა და მუშა, რომ დღიურ ნორმას ვერ ასრულებდეს.

მოპოვებულ შრომით წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით იმ საამქროებს, რომელთაც შ. ქარქაშაძე, ჟ. ივანეიშვილი და უ. ხუციშვილი ხელმძღვანელობენ.

**ვ. ცირეკიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ

## უკატაკებენ სამშობლოს

სამტრედიის რაიონის მშრომელებმა შეასრულეს კრასნოდარელთა პატრიოტული ინიციატივის პასუხად ნაკისრი ვალდებულებანი და სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 16.000 ტონის ნაცვლად მიჰყიდეს 19.800 ტონა მა- ...

... ლი ვალდებულებით ნაკისრი 4.100 ტონის ნაცვლად დამამზადებელ პუნქტებს ჩააბარეს 4.700 ტონა ხილი. ჩოხატაურელებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ კიდევ 600 ტონა თესლოვანი ხილი.

* * *

ამბროლაურელებმა რა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ამბროლაურის რაიონის მშრომელებმა ვადამდე და გადაჭარბებით გაანაღდეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ცხრა თვის გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. მათ გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის გეგმები.

(საქინფორმი).

3-4 ოქტომბერი

## „პრავდის“ ფურცლებზე

მასწავლებლის დღეს მიუძღვნა გაზეთმა საკვირაო ნომრის მოწინავე წერილი — „რგოლი თაობათა ჯაჭვში“.

... რიდან „მწერლის დღიურიდან“ დაბეჭდილია ერნსტ საფონოვის სტატია „მშიერი ველის ადამიანები“, რომელშიც მოთხრობილია უზბეკი მებამბეების ცხოვრება. მოსკოვში ლიტვის დრამის აკადემიური თეატრის გასტროლებს ეძღვნება ნ. ლორთქიფანიძის რეცენზია „რით ცოცხლობს თეატრი“. გაზეთის დანარჩენ გვერდებზე მკითხველები გაეცნობიან სისხლ-ძარღვთა დაავადების მკურნალობის ახალ მეთოდებს, ვერა ტკაჩენკოს წერილს ახალგაზრდობის აღზრდის თემაზე „ადგილი ცხოვრებაში“, საზღვარგარეთისა და ჩვენი ქვეყნის ახალ ამბებს.

„კომუნისტური მშენებლობის გაზრდილი მასშტაბი, მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის განუხრელი ზრდა სულ უფრო პასუხსაგებ ამოცანებს უსახავს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. მათი ვალია იყვნენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში მასების ჭეშმარიტი ორგანიზატორები, კიდევ უფრო ეფექტიანი გავლენა მოახდინონ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე“, — ნათქვამია 4 ოქტომბრის მოწინავე წერილში „ამომრჩეველთა განაწესებით“. გაზეთის მეორე გვერდზე გამოქვეყნებულია განყოფილება „პარტი- ...

... ლაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილის ე. ბიცკოსა და ფსკოვის მძიმე ელექტრომშენებელი მოწყობილობის ქარხნის პარტიული კომიტეტის წევრის ხარატ ა. იაკოვლევის წერილები პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მუშაობის გამოცდილებაზე. ამავე გვერდზე დაბეჭდილია მ. ოდინეცის ფელეტონი „ხე-ტყის სახერხქარხნიანი მოგზაური“, რომელშიც მხილებულია ჩერნიგოვის ოლქის კორიუკოვკის რაიონში ობჩელი მ. იგუტიძისა და მისი ამფსონების კერძომესაკუთრული „მოღვაწეობა“.

მკითხველები ამ ნომერში გაეცნობიან უზბეკეთის სს რესპუბლიკაში საკუთარი კორესპონდენტის ნ. გლადკოვის მიმოხილვას ჟურნალ „ზვეზდა ვოსტოკას“ შესახებ; მოსკოველი ინჟინერ-კონსტრუქტორის ფ. კრასნოპეროვის წერილი „კონსტრუქტორის საზრუნავი“ ეხება თანამედროვე, მაღალმწარმოებლური მანქანებისა და აგრეგატების შექმნას; გაზეთის მესამე ...

**(ОО) ПРАВДА**

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის 27 ოქტომბერს მოწვევასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგეგმო-საბიუჯეტო კომისიებს, დარგობრივ კომისიებსა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებს დაავალა წინასწარ განიხილონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო გეგმა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმა, სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და მოამზადონ ამის გამო დასკვნები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატებისათვის.

4 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ პ. ი. სტრაუტმანისმა მოაწყო მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი, რომლებზეც განიხილეს სსრ კავშირის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წინასწარ განხილვასთან დაკავშირებული საკითხები. (სატ-ტასი).

## საკავშირო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია

4 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა საკავშირო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია „სკკპ XXV ყრილობა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარება“. კონფერენცია მოაწყვის მარქსიზმ- ...

... ტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ვ. ზიმიანინმა.

მოხსენებები წაიკითხეს: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა პ. ნ. ფედოსეევმა — ...

... შორისო ურთიერთობის პრობლემები“.

შემდეგ კონფერენციის მონაწილენი შეუდგნენ მუშაობას სექციებში: „პარტია განვითარებული ...

ანგარიშები-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

# პარტჯგუფი — შეჯიბრების ორგანიზატორი

— ჩვენი ცვლა ერთ-ერთი მოწინავეა საამქროში. პარტიული ჯგუფის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ხელს გვიწყობს წარმატების მოპოვებაში, — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ახალგაზრდა კომუნისტმა, მქსოველმა დარეჯან ბუაძემ.

— ნაკლზე ილაპარაკე, ამხანაგო! — შენიშნა ვიღაცამ.

— ნაკლოვანებანიც გვაქვს, მაგრამ... — სათქმელი აღარ დაამთავრა, სახეზე სიწითლემ გადაურბინა და უხერხულად შეიშმუშნა.

წუთით დუმილი ჩამოვარდა. საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა სიტყვა შეაშველა:

— ჰო, თქვი, დარეჯან, მიღწევებზეც თქვი, მაგრამ ნაკლოვანებანი არ გამოგრჩეს. მე ვიცი, რომ ბევრი გაქვს სათქმელი. ვაცალოთ, ამხანაგებო!

ახალგაზრდა კომუნისტს სითამამე მოემატა და უფრო გაბედულად განაგრძო: — განა კომუნისტების აქტივობას არ უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებისათვის მზადების პერიოდში ახალი ინიციატივა გამოჩნდა — მომჭირნეობით და ყაირათიანად ვხარჯოთ ძირითადი და დამხმარე მასალები, დაზოგილი ნედლეულით კი კვირაში ერთი საათი მაინც ვიმუშაოთ?

ჩემი აზრით, ეს ერთგვარი პასუხია სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების შესახებ რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ ინიციატივაზე და, მაშასადამე, უკეთესი მუშაობის ყველა პირობა გვაქვს.

დარეჯანი დაჯდა. ისევ დუმილი ჩამოვარდა.

— მომეცით სიტყვა, — მოულოდნელად გაისმა დარბაზში, ადგილიდან მკვირცხლად წამოდგა ქალიშვილი და ტრიბუნისაკენ გაემართა.

— დარეჯანი ახალგაზრდა კომუნისტია, ჯერ კიდევ გაბედულად ვერ ლაპარაკობს. ნაკლოვანებანი იმდენია, რომ მათი ჩამოთვლაც კი ერთ კრებას მოითხოვს, თქვა მქსოველმა გულნაზ თაბაგარმა... ხშირად დაზგები ცდება, მოსამზადებელი საამქროდან უხარისხო ძსელებს გვაწვდიანო, სათადარიგო ნაწილების მომარაგების საქმე ჩაშლილიაო, ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, ქვა ქვაზე აღარ დატოვა, საამქროს უფროსს მკაცრად უსაყვედურა, არც პარტჯგუფორგანიზატორი დაინდო, გაერთიანების ხელმძღვანელობასაც გადაჰკრა.

კრება გამოცოცხლდა, კომუნისტმა ფეიქრებმა მრავალ საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრეს.

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათაო საწარმოს პარტიულ ორგანიზაციაში 830 კომუნისტი ირიცხება. ისინი 14 საამქრო პირველადს პარტიულ ორგანიზაციასა და 23 პარტიულ ჯგუფში არიან გაერთიანებულნი. კომუნისტები, პარტიული კომიტეტი (მდივანი ჯ. კიმულარია) გულდასმით მოემზადნენ პირველადს პარტორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოწყობისათვის. ეს ცხადყო ამ დღეებში გამართულმა № 3 საქსოვი საამქროს „ბ" ცვლის პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფში გაერთიანებული ოცდაერთივე კომუნისტი დროულად გამოცხადდა კრებაზე, რომელმაც მაღალი აქტივობით ჩაიარა. ისინი სიამაყით ლაპარაკობდნენ მიღწეულ წარმატებებზე, მაგრამ, ამასთან ერთად მკაცრად და პირუთვნელად, პარტიული პირდაპირობით ამხილებდნენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, აანალიზებდნენ მის მიზეზებს, აყენებდნენ საქმიან წინადადებებს ყოველ უბანზე მუშაობის ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის.

პარტჯგუფორგანიზატორის, ქვეოსტატ ლ. თავაძის საანგარიშო მოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჯგუფის მიერ გაწეულ მუშაობასა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებს. მოკამათეებმა — უბნის უფროსმა ე. ჯიმშელეიშვილმა, № 2 ბრიგადის ხელმძღვანელმა, ქვეოსტატმა ე. მატარაძემ, მქსოველმა მ. რობაქიძემ, საამქროს უფროსმა ა. ცქიტურიშვილმა და სხვებმა მოიყვანეს იმის მაგალითები, რომ საწარმოში ჯერ კიდევ უამრავი გამოუყენებელი რეზერვია, რომელთა დროული ამოქმედება დადებით გავლენას მოახდენს პროდუქციის წარმოების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლის ზრდაზე. № 8 ბრიგადის მქსოველმა ს. თაბაგარმა მაგალითისათვის ასეთი ფაქტი მოიყვანა: № 181 დაზგა ერთ დღეს მთლიანად მოცდა იმის გამო, რომ იგი უწესრიგო მდგომარეობაში ჩააბარეს მომდევნო ცვლას. მარტო ამ დაზგით 67 მეტრი ხამი აბრეშუმის ქსოვილი დააკლდა ბრიგადას. ასეთი ფაქტები კი მრავალია.

კრებაზე ისიც ითქვა, რომ მოსამზადებელი საამქროს ხელმძღვანელობა სისტემატურად ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებას, ადგილზე არ გააჩნიათ ნედლეულის შესანახი სათავსო, ვერ იქნება და ვერ აღიკვეთა შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები, მიმდინარე წლის 9 თვეში უმიზეზოდ გაცდა 41 კაცდღე და ა. შ.

პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მკაცრად გააკრიტიკეს ფეიქართა საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებანი, აღინიშნა, რომ ახალგაზრდობის პროსპექტზე მდებარე ფეიქართა დასახლებაში გამეფებულია ანტისანიტარია, სასურსათო მაღაზიაში უწესრიგობაა, ხშირად არ იცავენ ტროლეიბუსების მოძრაობის გრაფიკს, განსაკუთრებით კი დილისა და ღამის საათებში.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოთქვეს რწმენა, რომ კომუნისტთა, ყველა მშრომელის აქტივობის შემდგომი ამაღლებით უზრუნველყოფენ ხუთწლედის დასახული ამოცანების შესრულებას და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

**დ. გედენიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

რეპორტაჟი

# ხარისხი — საწარმოს სარკე

**ცხრა თვეში შეასრულა წლიური ვალდებულება თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივმა**

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელს ატარებს, დედაქალაქში პირველმა დაძლია წლიური მიჯნა — შეასრულა 170 მილიონი მანეთის ზევეგმითი პროდუქციის ანგარიშში ნაკისრი წლიური ვალდებულება. დავალების გადამეტებით გამოშვებულია 2 მილიონი მანეთის პროდუქცია, 180 ტონა სხვადასხვა ხარისხის ჩაი.

ფაბრიკის კოლექტივის ეს წარმატება სასიხარულო მოვლენებს დაემთხვა. როგორც ცნობილია, საქართველოს მეჩაიეებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს და მათს თავდადებულ შრომას დიდი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

— მეჩაიეთა შრომის დიდი დაფასება ჩაის მრეწველობის მშრომელთა თავდადების აღიარებაც არის, — გვითხრა ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორმა შ. ჯიშკარიანმა, — წლეულს ჩაის მრეწველობა კარგად მოემზადა სეზონისათვის და შეფერხებებიც ნაკლები იყო. ჩვენმა კოლექტივმაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა პროგრესის გზაზე...

ლამაზი სანახავია ჩაის საწონი ფაბრიკის თეთრი ქათქათა საამქროები. ყველა სამუშაო უბანს ყოველ კუთხე-კუნჭულს აქ მზრუნველი ხელი ატყვია, ჩანს, რომ წარმოების კულტურისათვის ზრუნვა ფაბრიკის ხელმძღვანელობის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი კოლექტივის ნამდვილი ღირსების საქმეა. მაგრამ ფაბრიკის მშრომელთა სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ საწარმოს ტექნიკური ბაზაც დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს მთლიანად უპასუხებს.

ვათვალიერებთ ახლახან საწარმოში დადგმულ 3 გრამად ჩაის დამფასოებელ აგრეგატებს, რომლებსაც თეთრ ხალათებში გამოწყობილი გოგონები მართავენ. ეს ავტომატი ათჯერ უფრო მაღალი წარმადობისაა, ვიდრე მათი წინამორბედები, ამასთან ისინი მკვეთრად აუმჯობესებენ წარმოების კულტურას, ნაწარმის ხარისხს, ამცირებენ თვითღირებულებას.

ამ ავტომატების, აგრეთვე საწარმოში დადგმული სხვა ახალი მანქანების მეოხებით უკანასკნელ ხანს აქ მკვეთრად ამაღლდა წარმოების კულტურა, სრულყოფილი გახდა საწარმოო პროცესები და რაც მთავარია, გაუმჯობესდა ჩაის შეფუთვის ხარისხი და ტექნოლოგია.

— ხარისხი, ხარისხი და მხოლოდ ხარისხი... აი რა არის ჩვენი კოლექტივის საზრუნავი მეათე ხუთწლედში, — თქვა საწარმოს მთავარმა ინჟინერმა თ. იმნაიშვილმა, — ამიტომ ვუთმობთ დიდ ყურადღებას ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას, ავტომატური და ნახევრად ავტომატური ახალი დანადგარების სრულყოფილად ათვისება პროდუქციის ხარისხის უთუო გაუმჯობესების გარანტიაა.

ამიტომაც არის, რომ საწარმოს მომავლის გეგმაც ბევრ ტექნიკურ სიახლეს ითვალისწინებს, უნდა განვახორციელოთ ძირითად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. კეთილმოეწყობა შემფუთავი საამქრო, იგი თავისი საწარმოო კულტურით სანიმუშო გახდება, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ჩამწყობ განყოფილებას და სხვ. რაკი საწარმოს სიმძლავრე მეტი აღარ გაიზრდება, ამიტომ მთავარ ყურადღებას პროდუქციის ხარისხის სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებებს დავუთმობთ...

დღეს ხუთასამდე ადამიანი შრომობს საწარმოში. აქედან უმეტესობა ქალები არიან. მათი პროდუქცია შეფუთული მწვანე და შავი ბაიხაო ჩაი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში იგზავნება, ხოლო სავაჭრო ნარევი, ანუ შეუფუთავი ნედლეული, საზღვარგარეთაც მიდის.

მართლაც დიდი პასუხისმგებლობით შრომობს დღეს ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივი. შეჯიბრება, რომელიც რუსთაველ მეტალურგთა მაგალითისამებრ გაიშალა, თანდათან ფართოვდება. სულ უფრო მეტი ბრიგადა, უბანი ებმება. დისციპლინისა და პასუხისმგებლობისათვის გაშლილ ლაშქრობაში. მოწინავე მუშებს, ოსტატებს გაზრდილი ვალდებულებები აქვთ ნაკისრი. ბევრმა მათგანმა წლევანდელი ვალდებულებები შეასრულა კიდეც. ასეთთა შორის არიან დამხარისხებლები ი. შუბითიძე, გ. ჭუხრუკიძე, ოსტატი გ. მატიევი, მემანქანეები მ. გვენეტაძე, ა. ჩიხლაძე, ე. ფირანიშვილი, ჩამწყობები ლ. გუჯიაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ა. ამოევა და სხვ.

გუგუნებენ მანქანები. მოდის ქართული ჩაი — ლამაზად შეფუთული და გაფორმებული. თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკიდან მომხმარებელი დღეს იღებს 200, 100, 50-გრამამდე, აგრეთვე 2 და 3-გრამად შეფუთულ სხვადასხვა ხარისხის შავი ბაიხაო და მწვანე ჩაის. საქვეყნოდ გაითქვა სახელი აქაურმა პროდუქციამ — „საქართველოს თაიგული", უმაღლესი ხარისხის ჩაი და „ექსტრა" ხარისხის სახელმწიფო ნიშანს ატარებენ, ამ დღეებში კი „ექსტრამ" საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოქროს მედალი დაიმსახურა.

გამოვუშვათ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ნაწარმი — ამ დევიზით აჩაღებენ შეჯიბრებას საწარმოს მშრომელები რომლებმაც აწონ-დაწონეს თავიანთი ვალდებულებები და გადაწყვიტეს წლის ბოლომდე დამატებით კიდევ გამოუშვან 20 ტონა ჩაის პროდუქცია, ე. ი. ისინი წლეულს მომხმარებელს 200 ტონა ზეგეგმით არომატულ ნაწარმს კპირდებიან.

**რ. ჭელიძე.**

* * *

**სურათზე:** თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა. სამ-სამ გრამად შეფუთულ პროდუქციას ამზადებს ახალ ავტომატზე მოწინავე მემანქანე მანანა კაჭარავა.

ბ. გოგოხიას ფოტო.



# მასწავლებლის დღე

რესპუბლიკის მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს მასწავლებლის დღე. ამ მოვლენას მიეძღვნა თბილისის საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომა, რომელიც 2 ოქტომბერს გაიმართა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ვ. სირაძე, თ. მენთეშაშვილი, ო. ჩერქეზია, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ინდილაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ფაჩუაშვილი, მოსკოვის განათლების მუშაკთა დელეგაცია.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჟვანიამ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ კ. მაჭარაშვილმა, თბილისის 42-ე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგმა ი. რობაქიძემ, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. იოსელიანმა, ჟურნალ „სემია ი შკოლას" მთავარი რედაქტორის მოადგილემ ო. მამონტოვამ, თბილისის № 5 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა დ. ფირაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა ე. ტირსკიხმა. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. დუმბაძემ. თბილისის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ რ. ცირეკიძემ.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ თბილისის 102-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. (საქინფორმი).

# მომავალ ამოცანებზე ფიქრით

**აჭარის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი**

**ბათუმი,** 4 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ.). აქ გაიმართა აჭარის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელმაც განიხილა პარტიის ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს რაიკომების პირველი მდივნების — ბ. ჯიქიას, ს. ინაიშვილის, ა. თავდგირიძის, ნ. ცეცხლაძის, ნ. თამაზაშვილის, აგრეთვე კვების მრეწველობის საწარმოების, სავაჭრო და დამამზადებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელების ინფორმაციები იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება და საშემოდგომო სოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

აღინიშნა, რომ გამიზნულმა ორგანიზატორულმა და პარტიულ-პოლიტიკურმა მუშაობამ, ფართოდ გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს იმდენი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, რამდენიც არასოდეს არ მოუკრეფიათ აჭარაში. ჩაის ფოთლის კრეფა და დამზადება გრძელდება.

ციტრუსის ბაღებში ემზადებიან მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის კრეფისათვის. გადაწყვეტილია სულ ცოტა 80 ათასი ტონა მოკრიფონ.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს, და მთავარი ყურადღება დაეთმო ნაკლოვანებებს.

ავტონომიური რესპუბლიკა ჩამორჩება ფხეში და წვნიანი საკვების დამზადებაში. კერძოდ, აღინიშნა, რომ მეცხოველეობის საკვების ბალანსის შევსებას ხელს შეუწყობს ქედის რაიონში ამას წინათ ამუშავებული საამქრო, რომელიც ვიტამინიან ფხვნილს და გრანულებს ამზადებს.

ცალკეული მეურნეობანი სახელმწიფოს დაბალი ხარისხის რძესა და მშლე პირუტყვს აბარებენ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მეცხოველეობის გამოსავალს.

წელს ხულოსა და შუახევის რაიონების კოლმეურნეობებმა კარტოფილის უხვი მოსავალი მოიწიეს, მაგრამ მისი აღება ჭიანურდება.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომელშიც დასახეს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები. მათ დამატებითი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დარგში.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

პირველი მეცადინეობები პარტიული განათლების ქსელში

# მეტი მონდომებით

**სათანადო** მოსამზადებელი მუშაობის შედეგად რაიონში გაიმართა პირველი მეცადინეობები თეორიულ სემინარებში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებისა და ეკონომიური განათლების სკოლებში. სულ მეცადინეობას შეუდგა 3.100-ზე მეტი მსმენელი, აგრეთვე წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგი.

პროგრამით გათვალისწინებული თემის მიხედვით ეკონომიური სკოლის მეცადინეობაზე პროპაგანდისტმა, ცაგერის კოლმეურნეობა „პროგრესის" თავმჯდომარემ ზ. ჩიქოვანმა მეცადინეობა მჭიდროდ დაუკავშირა პრაქტიკულ საქმეებს, კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს.

შეძენილი ცოდნისა და პრაქტიკის ერთიანობის ნიშნით ხასიათდებოდა მეცადინეობები თეორიულ სემინარზე და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების იმ სკოლებში, სადაც პროპაგანდისტები არიან გ. ყურაშვილი (ლაჯანის სკოლა-ინტერნატი), გრ. ბურჯალიანი (ორბელის კოლმეურნეობა), დ. ჰოხონელიძე (ლაჯანურჰესის № 11 კასკადი), დ. კოპალიანი (ცაგერი) და კ. ფრუიძე (ალპანა).

რა თქმა უნდა, პირველი მეცადინეობები ყველგან უნაკლო არ ყოფილა. პარტიული ორგანიზაციები, პროპაგანდისტები, თვით მსმენელები იძლევიან პირობას, რომ უფრო მეტი მონდომებით იბრძოლებენ პოლიტიკური და ეკონომიური სწავლების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

**ნ. ნემსაძე,**
ცაგერის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის სხივის" რედაქტორი.

# პრაქტიკული მაგალითებით

**საკავშირო** დაუსწრებელი კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის თბილისის ფილიალის პოლიტიკური განათლების კაბინეტში ხალხმრავლობაა. მოდიან პროპაგანდისტები, მსმენელები... აზუსტებენ სამუშაო გეგმას, ეძებენ საჭირო ლიტერატურას, იღებენ რჩევა-დარიგებას.

მათ შორის ახალგაზრდა მამაკაცს შენიშნავთ, ის გადაშლილ წიგნებსა და გაზეთებს ჩასჩერის, დროდადრო რაღაცას ინიშნავს რვეულში. იგი ინსტიტუტის დირექტორი და პოლიტიკური განათლების პროპაგანდისტი რობიზონ ქერივიშვილი გახლავთ.

პროპაგანდისტმა თავიდანვე დაიჭირა თადარიგი, დააზუსტა, შეავსო სიები. ძველ მსმენელებს ახლებიც შეემატნენ. შარშან სპეციალურად დაინიშნა რამდენიმე დამატებითი მეცადინეობა, სადაც გულდასმით განიხილეს სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებები. იმსჯელეს ინსტიტუტის ამოცანებზე, გეგმებზე. ცოდნა გამოამჟღავნეს ამხანაგებმა ა. თელიამ (სემინარის ხელმძღვანელი), შ. ჯოხაძემ, ი. ბეგლაროვმა და სხვებმა.

ინსტიტუტის პედაგოგიური კოლექტივი 40-მდე პროფესორ-მასწავლებლისაგან შედგება. პოლიტიკური განათლების ქსელში თითქმის ყველა ამხანაგია გაერთიანებული. სემინარის მსმენელები შეისწავლიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას: „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრების მასალებს, შეისწავლიან აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მასალებს.

პარტიული განათლების ქსელში, გარდა მეცადინეობებისა, გათვალისწინებულია გაიმართოს თემატიკური საღამოები, დისპუტები მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებზე, კონფერენციები...

ინსტიტუტის კოლექტივი პოლიტიკური განათლების ქსელში უფრო გააფართოებს მუშაობას და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევს სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და მაღალკვალიფიციური კადრების გამოზრდის საქმეში.

**ნ. ფილაური.**

ადამიანი და კანონი

# საიმედო ძალა

**ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელები წესრიგის სადარაჯოზე**

**უკანასკნელ** ხანს ჩვენი პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ მშრომელთა ფართო მასების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამის მკაფიო დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

ამ ისტორიული მნიშვნელობის დადგენილებამ შეაჯამა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ტიტანური შრომა ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრებისა და საქმიანობის ლენინური ნორმების აღდგენისა და იმ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის საქმეში, რომლებმაც გარკვეული წლების განმავლობაში ფეხი მოიკიდა ჩვენში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თანმიმდევრულმა კურსმა საზოგადოების ყოველი წევრის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებისა და მათი აქტივობის ზრდისათვის კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა უბანზე, მათ შორის საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებაზე.

დღეისათვის საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მშრომელთა მონაწილეობის მრავალი ფორმაა დამკვიდრებული.

საკმარისია დავასახელოთ მილიციის საყრდენი პუნქტები და პროფილაქტიკური მუშაობის საბჭოები, ამხანაგური სასამართლოები, ქუჩისა და უბნის კომიტეტები, „ნორჩ ძერჟინსკელთა" რაზმეულები და „ნორჩი ავტოინსპექტორები". განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ყველაზე მრავალრიცხოვანი ორგანიზებული და მძლავრი ძალა — ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები.

ლიტერატურაში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შექმნის თარიღად მიჩნეულია 1959 წელი, როდესაც ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში პირველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები. ეს ინიციატივა აიტაცეს სხვა მსხვილმა სამრეწველო ცენტრებმა. განაზოგადეს რა ამ მიმართულებით დაგროვილი გამოცდილება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 2 მარტს მიიღეს დადგენილება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ". ასეთივე დადგენილებები იქნა მიღებული ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

ასეთია საყოველთაოდ მიღებული მოსაზრება სახალხო რაზმეულების შექმნის თარიღის შესახებ. მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი დაზუსტებას მოითხოვს.

ვინც კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნის ისტორიას, დაგვეთანხმება, რომ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა მასობრივი მონაწილეობის ფორმა, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჩამოყალიბდა.

გავიხსენოთ დიდი ლენინის სიტყვები, რომელთაც მან მიმართა მოსახლეობას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ: „დაამყარეთ უმკაცრესი რევოლუციური წესრიგი, დაუნდობლად დათრგუნეთ ანარქიის ყოველგვარი გამოვლინება ლოთების, ხულიგნების მხრივ"...

მშრომელთა ფართო მასებმა აიტაცეს ბელადის ეს სიტყვები და დაიწყეს სპეციალიზებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც მხარს უჭერდნენ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა და მუშურ-გლეხური მილიციის ბრძოლას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

ოციან წლებში ეს მოძრაობა უფრო ორგანიზებული ხდება.

1928 წელს მოსკოვის, ლენინგრადისა და ურალის პროლეტარიატის ინიციატივით შეიქმნა მილიციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოებები („ოსოდმილები"), რომლებიც 1932 წელს მილიციის ხელშემწყობ ბრიგადებად გარდაიქმნა („ბრიგადმილები").

1956 წელს მილიციის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობა დაევალა მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, რომელთა გარშემოც ფართო საზოგადოებრივი აქტივი შემოიკრიბა. ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფორმებისა და მეთოდების შეცვლის და მათი შემდგომი სრულყოფის შესახებ.

1974 წლის 20 მაისს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დადგენილება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ". იმავე დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების შესახებ".

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების მიღებით დაიწყო თვისებრივად ახალი ეტაპი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ისტორიაში.

მილიციის როლი და ფუნქციები სახალხო რაზმეულების მუშაობის წარმართვის საქმეში განსაზღვრულია ნორმატიული აქტებით, რომლებიც სსრ კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროებმა გამოსცეს. ამ აქტების შესაბამისად მათ ევალებათ სახალხო რაზმეულებთან დაამყარონ ურთიერთობა და შეათანხმონ მათი საქმიანობა, ყოველდღიური პრაქტიკული ხელმძღვანელობა გაუწიონ მათს მუშაობას და სახალხო რაზმელებს შეასწავლონ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები და მეთოდები.

შინაგან საქმეთა ორგანოები სათანადო დახმარებას უწევენ სახალხო რაზმეულებს მუშაობისა და აღრიცხვის ორგანიზაციის საქმეში. რაზმეულთა შტაბებს სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას თავიანთ მიკრორაიონში მართლწესრიგის მდგომარეობის შესახებ, დროებით სარგებლობაში გადასცემენ რადიოკავშირის მობილურ საშუალებებს, ელექტრომეგაფონებს და სხვა ტექნიკურ საშუალებებს და უზრუნველყოფენ მათს დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

შინაგან საქმეთა ორგანოები, იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის მუშაკებთან ერთად ახორციელებენ სახალხო რაზმელთა სამართლებრივ აღზრდას.

სსრ კავშირის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ შემუშავებულია სახალხო რაზმელთა სწავლების 24 საათიანი პროგრამა, რომელიც რესპუბლიკის სახალხო რაზმელთა უმრავლესობამ უკვე შეისწავლა. რაზმელთა დიდი ნაწილი გაერთიანებულია სამართლმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტებში, სახალხო რაზმელთა ლექტორიუმებსა და სკოლებში.

ერთობლივი მუშაობა სახალხო რაზმეულების გააქტიურებისათვის, შესაძლებლობების უფრო ქმედითად გამოყენებისათვის კარგ შედეგს იძლევა. ამაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. სახალხო რაზმელების გამოჩენა საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში თავისთავად დიდი პროფილაქტიკაა, მაგრამ საკმარისი როდია. ჩვენ გვჭირდება არა „სტატიკური" რაზმელები, არამედ აქტიური, შემტევი, მებრძოლი, მოქნილი სახალხო რაზმელები. ამ მოსაზრებას ის ფაქტიც ადასტურებს რომ მათ მიერ სამართალ-დარღვევათა გამოვლინების მიხედვით ჩვენს რესპუბლიკას ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში.

რა არის ამის მიზეზი?

ჩვენი აზრით, მთავარი მიზეზია წლების განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში არსებული ინერტულობის, გულგრილობის, წაყრუებისა და საზოგადოებრიობის როლის შეუფასებლობის ატმოსფერო. როგორც სავსებით სამართლიანად იყო აღნიშნული, იმ წლებში ეკონომიკაზე მეტად ადამიანების ფსიქიკა და მსოფლმხედველობა, მათი რწმენა დაზარალდა. ასეთ პირობებში სახალხო რაზმეულების ენთუზიაზმსა და აქტივობაზე ლაპარაკი მხოლოდ თავის მოტყუება იქნებოდა.

მეორე მიზეზი უნდა ვეძიოთ სახალხო რაზმელთა შერჩევაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ სახალხო რაზმეულები დაკომპლექტდეს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებით. ეს კი ყოველთვის ასე როდია. რაოდენობრივ მაჩვენებლებს გამოდევნებულთ, ხშირად ავიწყდებათ სახალხო რაზმეულების შემადგენლობის თვისებრივი მხარე. სხვა რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სახალხო რაზმელთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენენ კომუნისტები, მაშინ, როცა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ეს მაჩვენებელი 30-35 პროცენტს უდრის.

დღემდე გადაუჭრელია ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შენობებით, ავეჯით და კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფის საკითხი. რაზმეულთა შტაბების უმრავლესობას სამუშაო ოთახი არა აქვს, ხოლო ერთ-ერთ დაწესებულებაში იქამდეც კი მივიდნენ, რომ სახალხო რაზმეულის შტაბს სასტუმროს კიბის ქვეშ მიუჩინეს ადგილი. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. სერიოზული ნაკლოვანებებია მილიციის ორგანოებისა და სახალხო რაზმეულთა ურთიერთმოქმედების ორგანიზაციის საქმეში. შინაგან. საქმეთა მთელი რიგი საქალაქო და რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელები და სპეციალურად გამოყოფილი მილიციის მუშაკები არ იჩენენ სათანადო დაინტერესებას სახალხო რაზმელების ძალებისა და შესაძლებლობების გამოყენების საქმეში, ოპერატიულად არ წარმართავენ მათ მუშაობას;

ბოლომდე არ გადაწყვეტილა სახალხო რაზმელთა სწავლების ქმედითობის ამაღლების, მათი აღჭურვილობის, ტრანსპორტით უზრუნველყოფის და სხვა საკითხები. როგორც ვხედავთ, მიზეზები ბევრია.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ივნისის დადგენილებაში დადებითი შეფასება მისცა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო რაზმელთა მუშაობას. ასევე დადებითი შეფასება დაიმსახურა ქ. რუსთავის სახალხო რაზმელთა მუშაობამ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აქტივის კრებაზე. ცხადია, მაღალი შეფასება მაღალ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. ამიტომაც ჩვენ გავაანალიზეთ სახალხო რაზმეულთან ურთიერთმოქმედების გასაუმჯობესებლად გაწეული მუშაობა უკანასკნელი 3 წლის მანძილზე და გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ჩვენი საქმიანობა ხშირ შემთხვევაში ვიწროუწყებრივი ხასიათის არის. გამოვლენილ ნაკლოვანებათა ყოველმხრივ შესწავლამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების და სახალხო რაზმელთა ურთიერთმოქმედების ორგანიზაციის საკითხი კომპლექსურად, დიდი მასშტაბით უნდა გადაიჭრას. ამ მიზნით სამინისტროში შეიქმნა საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭო, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს, შემუშავდა საბჭოს დებულება. ამ ცოტა ხნის წინათ დამტკიცდა სახალხო რაზმელებთან შინაგან საქმეთა ორგანოების ურთიერთმოქმედების გაუმჯობესების ღონისძიებათა პერსპექტიული გეგმა. გეგმაში ბევრი საჭირო, საინტერესო და მასშტაბური ღონისძიებაა გათვალისწინებული.

ამ დღეებში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში კარგ თაოსნობას ჩაეყარა საფუძველი. მილიციის უბნის ინსპექტორთა ერთმა ჯგუფმა გამოიჩინა ინიციატივა: „არცერთი მუქთახორა, დებოშიორი და ჩვენი საზოგადოების სხვა ანტიპოდი ჩვენ გვერდით — მომსახურების უბანზე!"

იმედს გამოვთქვამთ, რომ რესპუბლიკის სახალხო რაზმელები მხარს დაუჭერენ ამ თაოსნობას და, როგორც ყოველთვის, მხარში ამოუდგებიან მილიციის მუშაკებს, რთული, მაგრამ საპატიო მისიის შესრულებაში.

დიდად სასურველია, რომ ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე თვისებრივად გაუმჯობესდეს. ამისათვის ყველა პირობაა შექმნილი. ვფიქრობთ, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით სასურველ მიზანს მივაღწევთ.

**კ. კეთილაძე,**
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი.

# გამოჩენილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე

**ივანე ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია ერევანში**

ამ დღეებში ერევანში გაიმართა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავს იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც მოაწყვეს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებმა და მესროპ მაშტოცის სახელობის ძველი ხელნაწერების ინსტიტუტმა — მატენადარანმა.

სამეცნიერო სესია გახსნა მატენადარანის დირექტორმა, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ლ. ს. ხაჩიკიანმა.

საბჭოთა სომხეთის სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, — თქვა მან, დღეს აქ შეიკრიბნენ, რათა თავიანთი უდიდესი პატივისცემა გამოხატონ მოძმე საქართველოს მეცნიერული აზრის ერთ-ერთი ტიტანისადმი, აღნიშნონ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნა.

აკადემიკოს ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა გრანდიოზულია. ძნელია გამოიძებნოს ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების რომელიმე სფერო, რომლის ისტორიის გამოკვლევები დაკავშირებული არ იყოს უშუალოდ დიდი მეცნიერის სახელთან.

დიდია ივანე ჯავახიშვილის დამსახურება არმენოლოგიაში, თავის ნაშრომებში მან ფართოდ გამოიყენა სომეხი ისტორიკოსებისა და შუა საუკუნეების კულტურის სხვა წარმომადგენლების შრომები. იგი არის ავტორი სომხეთის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ისტორიისა, აგრეთვე საინტერესო ნაშრომებისა სომხური ლიტერატურის ისტორიაში, რომელთა ვრცელ ნუსხაში განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსულ ენაზე დაწერილ მონოგრაფიას „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილება" და ქართულ ენაზე დაწერილ სახელმძღვანელოს „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა". ამას გარდა გამოჩენილი მეცნიერი პეტერბურგისა და თბილისის უნივერსიტეტებში სპეციალურ კურსს კითხულობდა არმენოლოგიაში, კერძოდ, თემებზე — „სომხეთის საზოგადოებრივი წყობილება V საუკუნეში", „სომხეთ-საქართველოს იურიდიული ძეგლები", „ქალაქ ანისის ისტორია".

საბჭოთა სომხეთის მეცნიერებს, რომლებიც აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მე-100 წლისთავის იუბილეს აღნიშნავენ, სამართლიანად მიაჩნიათ იგი სომხეთის დიდ მეგობრად და მეცნიერად.

მოხსენება ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ს. ტ. ერემიანმა.

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი პ. მ. მურადიანი თავის მოხსენებაში შეეხო არმენისტიკის საკითხებს, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის შრომებშია აღძრული.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, მატენადარანის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ხ. ა. ტოროსიანმა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილზე ილაპარაკა როგორც სომხური სამართლის და სოციალურ მოძრაობათა ისტორიის მკვლევარზე. ქართველი მეცნიერის ენციკლოპედიურ ცოდნას მიუძღვნა თავისი გამოსვლა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. ვ. მარქარიანმა.

სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მ. კ. დუმბაძე, რომელმაც მადლობა გადაიხადა ამ სესიის მოწყობისათვის და თქვა, რომ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობას იგი მიაჩნია სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებად არა მარტო ივანე ჯავახიშვილისადმი, არამედ მთელი ქართველი ერისადმი.

სესიის შედეგების შეჯამებისას სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ც. პ. აგაიანმა დამსწრეთ შეახსენა მეცნიერი პატრიოტის სიტყვები: „ყოველ განათლებულ ქართველს ჰმართებს თავისი მოძმე ერის, სომეხთა, მრავალტანჯული, მაგრამ მეტად საინტერესო თავგადასავალი იცოდეს. ამისთვის კი უპირველესად იმ წყაროების ცოდნაა საჭირო, რომელთა მეშვეობითაც სომხეთის ისტორიის აღდგენაა შესაძლებელი".

ქართველოლოგიის ფუძემდებლის მოწოდებისამებრ მისი მოწაფეები და განსაკუთრებით ქართველ არმენოლოგთა ახალი თაობის წარმომადგენლები დიდ მუშაობას ეწევიან სომხური ისტორიული წყაროების შესასწავლად, ქართულ ენაზე მათ სათარგმნად, რითაც განაგრძობენ სომეხთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის სახელოვან ტრადიციებს.

(არმენპრესი).

ფაქტები, პრობლემები

# მსოფლიოს ამბები

საქდესის კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის სააგენტოები

ოფიციალური განყოფილება

# შრომის ანაზღაურებას — სერიოზული ყურადღება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიაში

**გაიმართა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა ამ კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ს. დურმიშიძის მოხსენება რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და სხდომაზე გამოსულმა მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა მ. დავითაშვილმა, ი. ფიროსმანიშვილმა, ი. თავაძემ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გ. ყიფიანმა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეურნეო ანგარიშის განყოფილების გამგემ გ. გობეჯიშვილმა აღნიშნეს, რომ კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების მიზნით შრომის გარანტირებული ანაზღაურების (ფულით და ნატურით) შემოღებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მკვეთრად გაიზარდა გამომუშავებული კაცდღისა და მუშაკის საშუალო წლიური შრომის ანაზღაურება. გასული ათი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში კოლმეურნეობის წევრთა შრომის [illegible]

საწარმოო-საფინანსო დისციპლინის მტკიცედ დაცვასა და სახსრების მომჭირნეობას, კოლმეურნეობათა მნიშვნელოვან ნაწილში შრომის ანაზღაურების დონე დაბალია და ჩამორჩება საბჭოთა მეურნეობის მუშის ანაზღაურების დონეს.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების საჭირო ღონისძიებებს ჯეროვნად ვერ ახორციელებენ ყველა კოლმეურნეობაში. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში, ეკონომიური შესაძლებლობის მიუხედავად, არც ერთი კოლმეურნეობა არ არის გადასული შრომის ახალ გადიდებულ ანაზღაურებაზე. უფრო მეტიც, ამ რაიონის 12 კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურება წარმოებს შემცირებული ტარიფით. მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში შეუწყნარებელ უყურადღებობას იჩენენ კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების საკითხისადმი, რაც უდავოდ უარყოფით გავლენას ახდენს შრომის დისციპლინის მდგომარეობაზე და აქვეითებს მშრომელთა აქტივობას.

მიმდინარე წლის 1 ივლისის მდგომარეობით რესპუბლიკის მეურნეობებში შრომის ანაზღაურებაზე ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 6,4 მილიონი მანეთი შეადგინა. განსაკუთრებით დიდია იგი ბოგდანოვკის, ახალქალაქის, [illegible]

დაინტერესების პროგრესული მეთოდებისა და ღონისძიებების განხორციელებას, პროდუქციის წარმოების, მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის არსებული რეზერვების გამოვლენასა და ეფექტიან გამოყენებას.

მუდმივმა კომისიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

მუდმივი კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი. (საქინფორმი).

# საბჭოთა სახელმწიფოს კანონების კრებული

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საჭიროა გამოიცეს საბჭოთა სახელმწიფოს კანონების კრებული. პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს მომზადდეს და გამოსცენ სსრ კავშირის კანონების კრებული, რომელშიც შევა საკანონმდებლო აქტები და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უმნიშვნელოვანესი ერთობლივი დადგენილებები და სსრ კავშირის მთავრობის ზოგადნორმატიული ხასიათის დადგენილებები.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სოციალისტური სახელმწიფოებრიობის სრულყოფა, დემოკრატიის შემდგომი განვითარება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მშრომელთა აქტიურობის ამაღლება განუყრელად უკავშირდება საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას, მისი სტაბილურობის უზრუნველყოფას და იმას, რომ გასაგები იყოს ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს კანონების კრებულის გამოცემა ხელს შეუწყობს კანონიერების, საზოგადოებრივი დისციპლინისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს კანონმდებლობა ამოცანების შესაბამისად, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში, და გამოიცეს სსრ კავშირის კანონების კრებული, დადგენილებაში გათვალისწინებულია შეიქმნას საკოდიფიკაციო და სხვა გამსხვილებული აქტები, აგრეთვე კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის საჭირო აქტები.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკაში მომზადდეს და გამოიცეს შესაბამისი რესპუბლიკის კანონების კრებული.

დადგენილია, რომ სსრ კავშირის კანონების კრებულში შესატანი აქტების პროექტებს მოამზადებს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ეს უკავშირდება მმართველობის შესაბამისი დარგის კანონმდებლობის სრულყოფის საკითხების გადაწყვეტას, — მოამზადებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან ერთად.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს დაეკისრა სსრ კავშირის კანონების კრებულის მასალების ფორმირება. მას ეკისრება პასუხისმგებლობა სსრ კავშირის კანონების კრებულის მომზადების ხარისხისა და ამ კრებულში შეტანილი სამართლებრივი აქტების სისრულისათვის.

სსრ კავშირის კანონების კრებულის მომზადებისა და გამოცემის საერთო ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა სპეციალური კომისია.

კრებულის მასალების მომზადება მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებათა მონაწილეობით.

# რეზერვები ხუთწლედის სამსახურში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „1976-1980 წლებში მატერიალური რესურსების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევისა და საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარების შესახებ".

დადგენილებით სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებს 1976-1980 წლებისათვის დაუწესდათ დავალებანი, რომ საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარებისა და მასალის და დაუყენებელი მოწყობილობის ზენორმატიული მარაგის შემცირების გზით სამეურნეო ბრუნვაში მოაქციონ 11 მილიონი მანეთის საერთო თანხის მატერიალური რესურსები.

სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებები, რათა გაერთიანებები, საწარმოები, მშენებლობანი და ორგანიზაციები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ იმ მუშაობას, რომლის მიზანია საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარება, ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევა და მათი დაგროვების აღკვეთა, ამასთან მოახმარონ გამოვლენილი ზედმეტი მატერიალური რესურსები უწინარეს ყოვლისა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას. (საქდესი).

გამოხმაურება

# მშვიდობისა და უშიშროებისათვის

**მსოფლიო საზოგადოებრიობა, ხხვადასხვა ქვეყნის პრესა ფართოდ განმარტავენ საბჭოთა კავშირის ახალ დიდმნიშვნელოვან ინიციატივებს, რომლებითაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე სესიაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.**

ახალი საბჭოთა ინიციატივები, განაცხადა კუბის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რ. ალარკონ დე კესადამ, ხელს უწყობს პოზიტიური პროცესების დამკვიდრებას საერთაშორისო ასპარეზზე და უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცებას. საბჭოთა წინადადებები შეესაბამება ყველა სახელმწიფოს საარსებო ინტერესებს, რომლებიც გულწრფელად არიან დაინტერესებული შესრულდეს მთავარი ამოცანა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დგას, — შენარჩუნებულ იქნეს საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ნოიეს დოიჩლანდი" საბჭოთა კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივებს რეალისტურს უწოდებს და აღნიშნავს მათ უდიდეს მნიშვნელობას მთელი კაცობრიობისათვის. საბჭოთა წინადადებები, წერს გაზეთი, გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალის გამოყენების გამორიცხვის ღონისძიებათა ფართო პროგრამაა. მათ საფუძვლად უდევს პროგრამა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა სკკპ XXV ყრილობაზე. საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის მსოფლიო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების საკითხების მემორანდუმი ერთხელ კიდევ ადასტურებენ თანამიმდევრულობას, რომლითაც სსრ კავშირი იბრძვის საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის — მშვიდობის შენარჩუნების ამ უმნიშვნელოვანესი გარანტიისათვის.

წინადადებანი, რომლებიც ამ დღეებში შეიტანა საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე სესიაზე, ადასტურებენ, რომ საბჭოეთი თანამიმდევრულად ადგას პრინციპულ კლასობრივ საგარეო პოლიტიკურ ხაზს, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ შეიმუშავა, წერს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო". სსრ კავშირის ახალი კონსტრუქციული წინადადებანი განოხატავენ ლენინის იმ იდეას, რომ საჭიროა გამორიცხოს ომები კაცობრიობის ცხოვრებიდან. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, წერს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, დიდი ყურადღებით შეხვდნენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების მიზნით კონკრეტული მოქმედების საბჭოთა პროგრამას. მას აქტიურად უჭერს მხარს მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა, რადგან იგი შეეხება თვით პრობლემების არსს. საჭიროა შეიზღუდოს მასობრივი ჩოსპობის იარაღის წარმოება, შემდეგ კი მთლიანად აიკრძალოს და მოისპოს იგი, შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდები, აიკრძალოს და მოისპოს ქიმიური იარაღი, მოეწყოს განიარაღების მსოფლიო კონფერენცია. ეს არის იმის რეალისტური გზა, რომ მსოფლიომ იცხოვროს ომების საფრთხის გარეშე.

„ვაშინგტონ პოსტი" ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საბჭოთა კავშირი ყოველწლიურად თანმიმდევრულად აყენებს ახალ წინადადებებს განიარაღების დარგში. გაზეთი ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის წინადადებას საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის მსოფლიო ხელშეკრულების დადების თაობაზე და წერს, რომ იგი შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ფუნდამენტურ პრინციპებს.

# არჩევნების შედეგები

**ბონი, (საქდესი).** აქ გამოაცხადეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქვედა პალატის — ბუნდესტაგის არჩევნების წინასწარი ოფიციალური შედეგები.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმების 42,6 პროცენტი და ბუნდესტაგში 213 ადგილი მიიღო, ხოლო მისმა პარტნიორმა მთავრობის კოალიციაში თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ — ხმების 7,9 პროცენტი და 39 მანდატი.

კონსერვატიულმა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პარტიამ ხმების 38 პროცენტი და 191 ადგილი მიიღო, ხოლო მისმა ბავარიელმა პარტნიორმა — ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა — 10,6 პროცენტი და 53 მანდატი. არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 91 პროცენტი.

ამრიგად, მთავრობის კოალიციამ, რომელშიც სოციალ-დემოკრატიული პარტია და თავისუფალი დემოკრატიული პარტია შედიან, სულ ამომრჩეველთა ხმების 50,5 პროცენტი მიიღო და ბუნდესტაგში 252 დეპუტატი ჰყავს, ხოლო ოპოზიციურმა ბლოკმა ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ-ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა ხმების 48,6 პროცენტი და ბუნდესტაგის 244 დეპუტატის მანდატი მიიღო.

არჩევნების შედეგად მთავრობის კოალიციის პარტიებმა — გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ ფედერაციული რესპუბლიკის ახალი მთავრობის შექმნის უფლება მოიპოვეს.

# შეხვედრა ნიუ-იორკში

**ნიუ-იორკი. (საქდესი).** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, რომელიც აქ იმყოფება, მიიღო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის წევრი, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის პოლიტიკური განყოფილების გამგე ფ. ალ-კადუმი.

საუბრის დროს მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხებზე, კერძოდ ლიბანის ამბებზე. აღინიშნა, რომ ამ რაიონში ვითარება კვლავინდებურად ფრიად დაძაბული და საშიშია.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მთლიანად უჭერს მხარს პალესტინელი არაბი ხალხის ბრძოლას თავისი განუყოფელი უფლებებისათვის, მათ შორის საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლებისათვის.

# ოფიციალური ვიზიტით

**ბრიუსელი. (საქდესი).** აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ჩვენ ბრიუსელში ბელგიის მთავრობის მოწვევით ჩამოვედით, რათა განვაგრძოთ აზრთა გაზიარება ბელგიის სახელმწიფო მოღვაწეებთან ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსა და ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე, თქვა ა. ა. გრომიკომ აეროპორტში ჩამოსვლისას.

**ბრიუსელი. 4 ოქტომბერი. (საქდესი).** აქ გაიმართა ა. ა. გრომიკოსა და ბელგიის პრემიერ-მინისტრის ლ. ტინდემანსის საუბარი. საუბრის დროს მათ კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-ბელგიის ურთიერთობის განვითარების გამო და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მხარეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საბჭოთა კავშირ-ბელგიის 1975 წლის 25 ივნისის ერთობლივი დეკლარაციის შესაბამისად ხელი შეუწყონ ამ ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას სხვადასხვა დარგში. შეეხნენ აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემას.

საუბარი ურთიერთგაგებისა და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

საქდესი

ყოველი მხრიდან

### სასარგებლო თანამშრომლობა

● **პარიზი,** ლილის მახლობლად ქალაქ ვამბრეში გაიხსნა საბჭოთა საფეიქრო მოწყობილობის სადემონსტრაციო დარბაზი, სადაც წარმოდგენილია 40-მდე სხვადასხვა მანქანა და დაზგა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების საფეიქრო ფირმები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა მოწყობილობისადმი, განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში თვალსაჩინო ფრანგმა მრეწველმა, ქვეყნის ჩრდილოეთში უდიდესი საფეიქრო ჯგუფის „აგამ-ვიიოს" თანამფლობელმა ანტუან ვიიომ. უკანასკნელ ხანს ვამბრეში სადემონსტრაციო დარბაზში საფრანგეთის, ბელგიის, მთელი რიგი სხვა ქვეყნების 120 საფეიქრო ფირმისა და ჯგუფის ზსნობით წარმომადგენელი იყო.

### კომუნისტური პრესის ზეიმი

● **ბაზელი, (საქდესი).** საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბევრი ნათელი ფურცელია დაკავშირებული ქალაქ ბაზელთან. ამ ქალაქის წითელი ალმებით მორთული კონგრესთა დარბაზი სამი დღის განმავლობაში შვეიცარიის შრომის პარტიის ორგანოს გაზეთ „ფორვერტსის" ყოველწლიური ტრადიციული დღესასწაულის ადგილად იქცა.

საბოლოო მიტინგზე მსხვილმოსული წრეებში წარიკითხეს მოძმე კომპარტიათა ბეჭდვითი ორგანოების, მათ შორის გაზეთ „პრავდის" წარმომადგენლებმა. მიტინგზე გამოვიდა შვეიცარიის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ლეჰლაიტერი.

# თავისუფლება პატრიოტებს!

**ჰელსინკი.** ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა ორგანიზაციამ მოითხოვა დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ლუის კორვალანი და სხვა ჩილელი პოლიტიკური პატიმრები. ეს ორგანიზაცია თავის განცხადებაში გულისწყრომით გმობს ჩილეს ხუნტის ფაშისტურ რეჟიმს და სოლიდარობას უცხადებს ჩილელი ხალხის სამართლიან ბრძოლას.

**ნიქოზია.** ჩილეს ხუნტის თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვეს კვიპროსის პროფკავშირულმა გაერთიანებებმა. დეპეშაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნეს, ისინი გადაჭრით გმობენ რეპრესიებს, ადამიანის უფლებათა დარღვევას ჩილეში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობაა, ნათქვამია დეპეშაში, ყოველგვარ ღონისძიებებს მიმართოს რეაქციის თარეშის წინააღმდეგ, პოლიტიკურ პატიმართა უშიშროების უზრუნველყოფისა და საპყრობილეებიდან მათი განთავისუფლებისათვის.

# ექსპერიმენტები — გრძელდება

**ნიუ-იორკი, (საქდესი).** მარსზე სიცოცხლის ნიშნის აღმოჩენის იმედი სულ უფრო გადაიწურა. ამას იუწყებიან კალიფორნიის შტატის ქალაქ პასადენის რეაქტიული ძრავების ლაბორატორიის მეცნიერები, რომლებიც ამუშავებენ ავტომატური საპლანეტთაშორისო სადგურის „ვიკინგ-2"-ის დასაჯდომი ბლოკიდან მიღებულ ინფორმაციას. უკვე მეორე ექსპერიმენტი, რომელსაც უნდა აღმოეჩინა მარსის გრუნტში, ორგანულ ნივთიერებათა არსებობა, უარყოფით შედეგებს იძლევა, განაცხადეს სპეციალისტებმა.

# ანტისაბჭოური კამპანია ეგვიპტის პრესაში

**კაირო. (საქდესი).** რეაქციული ეგვიპტური პრესა 1973 წლის ოქტომბრის ომის წლისთავის მოახლოებას იმის საბაბად იყენებს, რომ ცილი დასწამოს საბჭოთა კავშირს. ამის ნიმუშია გაზეთ „აჰბარ ალ იაუმის" სტატია, რომელშიც საბჭოთა კავშირს აბრალებს, თითქოს იგი ცდილობდა ხელი შეეშალა ეგვიპტისათვის ისრაელი აგრესორების დამარცხებაში. საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც ეგვიპტეში გამოგზავნეს, ამტკიცებს გაზეთი, ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე ასრულებდნენ თავიანთ ამოცანებს და მიაჩნდათ, რომ მათი მისია სამხედრო კი არა, პოლიტიკური ხასიათისა იყო.

ეგვიპტის პრესის ეს კამპანია, რომელიც ეგვიპტის მთავრობის წაქეზებით მიმდინარეობს, ასახავს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის რეაქციული წრეების ანტისაბჭოურ მიმართულებას. იგი კვლავ ადასტურებს, რომ ეგვიპტის ახლანდელი ხელმძღვანელების პოლიტიკა ეწინააღმდეგება ეგვიპტელი ხალხისა და სხვა არაბული ქვეყნების ხალხთა ნამდვილ ინტერესებს.

შრომა და კაპიტალი



ათასობით მშრომელი მონაწილეობდა ბელგიის ქალაქ შარლერუაში გამართულ დემონსტრაციაში. იგი გაიმართა მთავრობის მკაცრი ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. სურათზე: მშრომელთა მიტინგი, რომელიც დემონსტრაციის შემდეგ გაიმართა.

ბელგა-საქდესის ფოტო.

კაპიტალის სამყარო

# შავბნელი პერსპექტივები

1975 წელს დასავლეთ ევროპის ცხრა ქვეყანაში, რომლებიც „საერთო ბაზარში" შედიან, გაკოტრდა 42 ათასზე მეტი საწარმო. ეს ბრიუსელში განაცხადა ევროპის გაერთიანებათა კომისიამ — „საერთო ბაზრის" უმაღლესმა ადმინისტრაციულმა ორგანომ.

წვრილ და საშუალო საწარმოთა გაკოტრების პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა ეკონომიურმა კრიზისმა. მაგალითად, საფრანგეთში 1970 წელს გაკოტრდა 14.265 საწარმო, ხოლო 1975 წელს — 17.224.

1976 წლის პირველ ნახევარში, როგორც ამას მოწმობენ ბელგიის დედაქალაქში გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები, „საერთო ბაზრის" ქვეყნებმა ვერა და ვერ დაძლიეს კრიზისი მეტალურგიულ მრეწველობაში. მარტო ინგლისმა, საფრანგეთმა და დანიამ მოახერხეს ამ პერიოდში რამდენადმე მეტი ფოლადის გამოდნობა, ვიდრე 1975 წლის პირველ 6 თვეში. სხვა ქვეყნებში კი კვლავაც შეიმჩნეოდა ფოლადის წარმოების დაქვეითება. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ბელგიაში გამოადნეს 9 პროცენტით ნაკლები ფოლადი, ვიდრე 1975 წლის შესაბამის პერიოდში, ლუქსემბურგში 6 პროცენტით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1,2 პროცენტით, ხოლო ირლანდიაში — 68 პროცენტით ნაკლები.

კვლავ უმუშევრობის მაღალი დონეა საერთო ბაზრის ქვეყნებში. ევროპის გაერთიანებათა კომისიის მონაცემებით, გასული წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის აგვისტომდე იქ უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 10 პროცენტით და 5 მილიონს გადააჭარბა.

განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა უმუშევრობა ინგლისში, სადაც სექტემბრის დამდეგს ამაოდ ეძებდა სამუშაოს 1,4 მილიონზე მეტი კაცი. (საქდესი).

# მოჩვენებითი და რეალური გარდაქმნები

## წერილი საფრანგეთიდან

**საფრანგეთის** პრესა კვლავ ფართო კომენტარს უკეთებს ჟაკ შირაკის მთავრობის გადადგომას და პრემიერ-მინისტრის პოსტზე რაიმონ ბარის დანიშვნას. ფორმალური მოტივები, რომლებმაც ჟ. შირაკი აიძულეს გადამდგარიყო, მის მიერ ჩამოყალიბებული იყო 26 ივლისს პრეზიდენტისათვის გაგზავნილ წერილში. იგი აღნიშნავდა ქვეყანაში შექმნილ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებას და მოითხოვდა თავისი რწმუნებების გაფართოებას და მოქმედების მეტ თავისუფლებას, რაზედაც მას უარი ეთქვა.

მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურების სატელევიზიო ინტერვიუებს ღრმა ანალიზს რომ უკეთებენ, მიმომხილველების უმრავლესობა იმ დასკვნამდე მიდის, რომ პირადი ურთიერთობის თვალსაზრისით მათ შორის არ ყოფილა რაიმე პრინციპული პოლიტიკური შეხლა-შემოხლა. კომენტატორები ვერ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ ჟ. შირაკი თავიდანვე გოლისტური პარტიის — რესპუბლიკის დაცვისათვის მებრძოლ დემოკრატთა კავშირის — „ბარონების" საწინააღმდეგოდ მხარს უჭერდა ჟისკარ დ, ესტენს და მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობდა მის არჩევას უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე.

არც წერილში და არც შემდგომ ჟურნალისტებისათვის გაკეთებულ განცხადებაში ჟ. შირაკს არ გაუშიფრავს, თუ კონკრეტულად რისთვის დასჭირდა მას ასე უცბად რწმუნებათა გაფართოება. მაშ რა არის კონფლიქტის ნამდვილი მიზეზი? ამ საიდუმლოებას ფარდა ახადა პრეზიდენტმა. კომენტატორებმა ყურადღება მიაქციეს მისი ინტერვიუს ორ საკვანძო ფრაზას. ჯერ ერთი, ჟისკარ დ, ესტენმა აღნიშნა, რომ პარლამენტის სესიის დასასრულს „პოლიტიკურმა პარტიებმა გააძლიერეს თავიანთი ზეგავლენა მთავრობის საქმიანობაზე", და, მეორე, მან აღნიშნა, რომ ყოფილ პრემიერ-მინისტრს „კეთილსასურველად მიაჩნდა შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნების შესაძლებლობა". ამ ორი აღიარებიდან ჩანს, რომ მიზეზი პრემიერის პიროვნება როდია. საქმე ის არის, რომ უთანხმოება ჩამოვარდა მმართველ კოალიციაში შემავალ ძირითად დაჯგუფებებს შორის — ერთი მხრივ, რესპუბლიკის დაცვისათვის მებრძოლ დემოკრატთა კავშირსა და მეორე მხრივ, დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ეროვნულ ფედერაციასა და სოციალ-დემოკრატთა ცენტრს შორის, გამწვავდა მეტოქეობა მთავრობის პოლიტიკაზე ზეგავლენისათვის.

ცხადია, უთანხმოებას არ ჰქონია ანტაგონისტური წინააღმდეგობის ხასიათი. მმართველი კოალიციის ყველა მონაწილე ერთნაირად დაინტერესებულია კაპიტალისტური სისტემის შენარჩუნებითა და განმტკიცებით. მაგრამ თვითეულ მათგანს ამომრჩეველთა თავისი წრე ჰყავს და სხვის ხარჯზე მის გაფართოებას ცდილობს. ბურჟუაზიულ დაჯგუფებათა ლიდერებს შორის გამიჯვნა ასახავდა მხოლოდ მათს განსხვავებულ შეხედულებებს მზარდი კრიზისის პირობებში მწვავე სოციალურ-ეკონომიური პრობლემების გადაჭრისადმი მიდგომის საკითხში, აგრეთვე იმ მუნიციპალური და საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებში, რომლებიც შესაბამისად ნახევარი და ერთნახევარი წლის შემდეგ გაიმართება.

ნერვიულობა ბურჟუაზიული კოალიციის რიგებში უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ მთავრობამ ვერ მოახერხა კრიზისის შედეგების დაძლევა, აგრერიგად რომ შელახა საფრანგეთის ეკონომიკა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ დარგში სახელმწიფო მილიარდები „ჩაყარეს", სამრეწველო წარმოებამ 1974 წლის დონესაც კი ვერ მიაღწია. პროფკავშირების მონაცემებით, სახელმწიფოში 1.170 ათასზე მეტი უმუშევარია. ფასებისა და ინფლაციის ზრდის ტემპებმა 13-15 პროცენტი შეადგინა. საგარეო-სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 14 მილიარდ ფრანკს მიუახლოვდა. ყველაფერი ეს იწვევს მშრომელი მასების მზარდ უკმაყოფილებას, რომელმაც თავი იჩინა წლეულს მარტში გამართული კანტონალური არჩევნების დროს. მმართველი პარტიების კანდიდატებმა ვერ მიიღეს ხმების უმრავლესობა, განსაკუთრებით დაზარალდა რესპუბლიკის დაცვისათვის მებრძოლ დემოკრატთა კავშირი. მისმა მეტოქეებმა უმალ ისარგებლეს მისი პოზიციების დასუსტებით და ლაპარაკი დაიწყეს „საპრეზიდენტო უმრავლესობის გადაჯგუფების" აუცილებლობაზე. ცენტრისტთა ლიდერმა ჟან ლეკანიუემ დამოუკიდებელ რესპუბლიკელებს არჩევნების წინ ურთიერთშეკავშირება შესთავაზა. რესპუბლიკის დაცვისათვის მებრძოლ დემოკრატთა კავშირმა ეს განზრახვა გოლისტების წინააღმდეგ ომის გამოცხადებად შეაფასა. ამ მომენტიდან ცხადი გახდა ჟ. შირაკის „საკოორდინაციო მისიის" ჩაფუშვა.

„მინისტრთა კაბინეტში ავეჯის უმნიშვნელო გადაადგილება", როგორც ზოგი კომენტატორი ხატოვნად წერს, არ ცვლის მის „არქიტექტურას", ე. ი. სულაც არ ნიშნავს პოლიტიკის რადიკალურად შეცვლას.

ახალ პრემიერ-მინისტრს, რომელსაც ამავე დროს ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის პოსტი უჭირავს, ახასიათებენ როგორც ქვეყნის საუკეთესო ეკონომისტს. პროფესორი, პოლიტეკონომიის სახელმძღვანელოს ავტორი, „საერთო ბაზრის" ეკონომიკისა და ფინანსთა საკითხების კომისიის ყოფილი ვიცე-თავმჯდომარე, საგარეო ვაჭრობის ყოფილი მინისტრი, 52 წლის რაიმონ ბარი შეუდგა მისი მთავრობის რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე მდგარი სამი პრიორიტეტული ამოცანის გადაჭრას. ესენია: ინფლაციასთან ბრძოლა, საფრანგეთის უშიშროების უზრუნველყოფა და რეფორმების პოლიტიკის განხორციელება.

მაგრამ, როცა ახალი მთავრობა შეეცადა განეხორციელებინა ადრინდელი მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილება გვალვისაგან დაზარალებულ რაიონებში მეცხოველეთათვის დახმარების გაწევის თაობაზე და წამოაყენა წინადადება, რომ დახმარების ხარჯების დასაფარავად საჭირო სახსრები მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადების გაზრდის ხარჯზე გამოეძებნათ, იგი დაქირავებული შრომის თითქმის ყველა კატეგორიის წარმომადგენელთა სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. მემარცხენე პარტიებმა და პროფკავშირებმა მთავრობის განზრახვა შეაფასეს, როგორც „ერთობ უსამართლო" და მკაცრად გააკრიტიკეს იგი. დამატებითი გადასახადის შემოღება, ამბობენ ისინი, ფასების განუწყვეტელი ზრდის პირობებში საგრძნობლად დაამძიმებდა ისედაც მძიმე საგადასახადო ულელს. ამასთან დახმარების ნავარაუდევი ოდენობა მთლიანად მაინც ვერ დააკმაყოფილებს გლეხთა მოთხოვნილებებს, რომელთა რეალური შემოსავალი ამ უკანასკნელ ორ წელიწადში 20 პროცენტით შემცირდა, რომ არაფერი ვთქვათ გვალვის შედეგად მიყენებულ ზარალზე. „ხელისუფლებას სურს, რომ წაართვას ერთს, რათა არაფერი მისცეს მეორეს და გათიშოს მისი პოლიტიკის მსხვერპლნი", — წერდა „ლუმანიტე".

მთავრობის წინადადებანი ეკონომიური კრიზისის დაძლევის შესახებ ცნობილი გახდება მას შემდეგ, რაც მათ მინისტრთა საბჭო საბოლოოდ მოიწონებს. ისინი უნდა ითვალისწინებდნენ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს: გვალვისაგან დაზარალებული გლეხებისათვის ფინანსური დახმარების მეთოდებს, დახმარების ოდენობას, ინფლაციისა და უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს და ა. შ. ორ ოქტომბერს კი გაიხსნა პარლამენტის სესია, სადაც მთავრობამ წამოაყენა თავისი მოქმედების პროგრამა, წარადგინა 1976 წლის საფინანსო კანონის შესწორებები და 1977 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ახლანდელი მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და დაძაბული სოციალური ვითარება, ძალთა თანაფარდობის შეცვლა (ამასწინანდელი კანტონალური არჩევნების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) ოპოზიციის სასარგებლოდ, მემარცხენე პარტიების მოქმედების მზარდი ერთიანობა მმართველ დაჯგუფებათა ლიდერებს აიძულებს ეძებონ ჩიხიდან გამოსავალი. თუ რამდენად შეძლებენ ამ ამოცანის დაძლევას, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

**ნ. კუზნეცოვი,**
ახალი ამბების სააგენტოს საკ. კორესპონდენტი
პარიზი

# ასეთია არმიული ცხოვრება

## ტიმკა

არწივი მძლავრი და ამაყი ფრინველია. ალბათ, სწორედ ამიტომ, ბევრი მეუფე თავის ემბლემად სახავდა მას.

მაგრამ ეს პატარა ბარტყი, რომელიც ძლივს დაბაჯბაჯებდა, ჯერ ვერ იმსახურებდა მძლავრი ფრინველის სახელს და ფაცაფუცით დარბოდა გზაზე, ვინ იცის საიდან და სად მიდიოდა. ბარტყს ყურადღებაც კი არ მიუქცევია სამხედრო-სატვირთო მანქანისათვის, რომელიც შეჩერდა, რომ არ გაეტანა იგი. ბარტყი ჯარისკაცებმა აიყვანეს და „ოცეულის შვილი" გახდა. სახელად ტიმკა შეარქვეს. მას შეფობდნენ რიგითი ჯარისკაცები იური კუზნეცოვი და ავთანდილ ქორიძე.

ორ თვეზე მეტ ხანს ცხოვრობდა ტიმკა ჯარისკაცებთან, ყველას მიეჩვია. როცა ჯარისკაცები მოედანზე წვრთნას გადიოდნენ, ტიმკა განზე იჯდა და ყურადღებით ადევნებდა თვალს, არცერთ მეცადინეობას, ჯარისკაცები სპორტულ იარაღებზე რომ ატარებდნენ, არ გამოტოვებდა.

შესვენების დროს მეომრები არწივთან მიიჩქაროდნენ. ვინმე აუცილებ-

...

# კონცერტები გემზე

**თბილისის** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ნათელა მკერვალიძეს კარგად იცნობენ ხელოვნების მოყვარულნი, მომღერალი საოპერო სცენაზე საინტერესო ვოკალურ სახეებს ქმნის. ამას გარდა იგი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საშეფო კონცერტებში მონაწილეობასაც.

ამას წინათ ნ. მკერვალიძემ სოლო-კონცერტები გამართა გემ „ადმირალ ნახიმოვზე", როცა გემი შავ ზღვაში მორიგ კრუიზს ასრულებდა. ამ დღეებში კი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გემის ეკიპაჟისაგან, დირექციისა და კრუიზის მონაწილე მრავალრიცხოვანი ტურისტებისაგან მადლობის ბარათი მიიღო. ბარათში აღნიშნულია, რომ „ნ. მკერვალიძის კონცერტები ფრიად მაღალმხატვრული იყო. საინტერესო და მრავალფეროვანმა პროგრამამ მსმენელებს დიდი ესთეტიკური სიამოვნება მოჰგვარა. მათ აღიარეს მსახიობის მაღალი ოსტატობა, მომხიბლაობა".

ბარათში აღნიშნულია აგრეთვე კონცერტმეისტერ ლევ შაბანოვის მაღალი ხელოვნება, რომელმაც შეძლო მომღერალთან ერთად ჭეშმარიტად ერთიანი ანსამბლი შეექმნა.

**რ. მუხიგულაშვილი.**

# სტუდენტური საღამო

ამ დღეებში ხალხმრავლობა იყო თბილისის სტუდენტთა ქალაქში. პირველკურსელების პატივსაცემად გაიმართა საინტერესო საღამო-კონცერტი, რომელიც მოაწყვეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და სტუდენტთა ქალაქის სამმართველომ.

აქ იყვნენ ომისა და შრომის ვეტერანები, მესამე შრომითი სემესტრის წარმომადგენლები, სხვადასხვა უმაღ-

...

თა მოვალეობებზე, პროფესორ-მასწავლებელთა დიდ ამაგზე და ამოცანებზე სტუდენტთა აღზრდის საქმეში.

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა და ლექსი წაიკითხა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა.

ნაჩვენები იყო ფრაგმენტები ახალი კინოფილმიდან, გამოვიდა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელების ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ჩიაღდანი".

...

შეხვედრა და საღამო-კონცერტი დიდხანს დაამახსოვრდებათ დამსწრეებს.

**ლ. ჯაყელი,**
თბილისის სტუდქალაქის იდეურ-პოლიტაღმზრდელობითი დარგის უფროსი ინსპექტორი.



**თბილისის** გ. დიმიტროვის სახელობის ... თან არსებულ № 66 ბაღსა და ბაგ... კარგი პირობები აქვთ შექმნილი. სისუ... დილოში, საძილე კორპუსში, ფი... **სურათზე:** პატარა ეკა და დიმიტრ... სართობებით. გ. კიკვიძის ფოტო (საქ...

# 36-ე საკავშირო პირველობა

# საბრძოლო განწყობილება

რა შეიძლება ითქვას ორი ტურის შემდეგ? ბევრი არაფერი. ჯერ ხომ ადრეა ლაპარაკი მონაწილეთა მზადყოფნაზე. ამ მხრივ კიდევ რამდენიმე ტური უნდა მოვიცადოთ, რათა პირველი დასკვნების გამოტანის საშუალება გვქონდეს. ერთი რამ კი, რისი შემჩნევაც ძნელი არ არის, მონაწილეთა საბრძოლო განწყობილება გახლავთ, მოჭადრაკეები ყაიმს გაურბიან და, როგორც იტყვიან, „ბოლომდე" თამაშობენ.

პირველ ტურში მხოლოდ ერთი პარტია (საუნინა-კახაბრიშვილი) დამთავრდა ყაიმით და ისიც მას შემდეგ, რაც ბრძოლის გაგრძელება ფაქტიურად უაზრო გახდა. ეტლების ენდშპილს ყოველთვის ახლავს ყაიმის „ბაცილა", ახლა კი იგი მთელ დაფას მოედო. თბილისელებს უყვართ ნორჩი ჩიბურდანიძის შემტევი თამაში. იყო მომენტი, როდესაც ქივაევა ინედოვნებდა დაებრუნებინა დაკარგული პაიკი და დამაკმაყოფილებელი პოზიციაც მიეღო, მაგრამ ჩინებული 26-ე სვლით ჩიბურდანიძემ სავსებით „დათრგუნა" მეტოქე. ქივაევა დანებდა ბელავენეცს, კარგი პოზიცია ჰქონდა სემიონოვასთან, მაგრამ წამოეპარა ცაიტნოტი და მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს გადააცილა. 19 წლის მოსკოველმა ოსტატმა ახმარუმოვამ, რომელსაც

...

ბარია, რატომ გადადო პარტია ... შტეინმა ალექსანდრიასთან — გორკელი მოჭადრაკის პოზიცია ... ბით უიმედოა. ნორჩი მოჭადრაკეები გურიელი და იოსელიანი ენერგიულად თამაშობდნენ. გურიელი უგებს მულენკოს, იოსელიანს კი დაახლოებით თანაბარი პოზიცია აქვს ზატულოვსკაიასთან.

მეორე ტურში ძალზე მოულოდნელი რამ მოხდა. გაფრინდაშვილ-ბელავენეცის პარტიაში მსოფლიოს ჩემპიონს დიდი უპირატესობა ჰქონდა და ბელავენეცს, რომ მეტოქის მძაფრი ცაიტნოტი არა, ვერაფერი იხსნიდა. საბოლოოდ გაფრინდაშვილმა მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა, რაც უმაგალითო მოვლენაა მის პრაქტიკაში.

ზატულოვსკაიამ დაამარცხა საუნინა. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა. სემიონოვა — ალექსანდრიას შეხვედრა არ გამართულა თბილისელი მოჭადრაკის ავადმყოფობის გამო.

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრებისას გაფრინდაშვილმა მოუგო კისლოვას, გურიელმა — მულენკოსა და ფომინას, მულენკომ — ჩიბურდანიძეს, ქივაევამ — იოსელიანს, ზაიცევამ — კახაბრიშვილს. იოსელიანი-ზატულოვსკაია, კისლო-

...

# მინსკში, პირველ ლიგაში

...

18 მონაწილეა: დიდოსტატები ბელიავსკი (ლვოვი), ტაიმანოვი, ფურმანი (ორივე — ლენინგრადი), კუზმინი (ვოროშილოვგრადი), ცეშკოვსკი (ომსკი), საერთაშორისო ოსტატები დვორეცკი (მოსკოვი), სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), კოჩიევი (ლენინგრადი), ჩეხოვი (მოსკოვი), ოსტატები ალ- ... (კურგანი), დორფმანი (ლვოვი), ივანოვი (ფერგანა), პერესიპკინი (კიევი) და პეტროსიანი (ერევანი).

პირველ ლიგაში გამარჯვებული მოჭადრაკეები უფლებას მიიღებენ ითამაშონ უმაღლეს ლიგაში, სადაც შეჯიბრება დეკემბერში მოსკოვში გაიმართება. აქ მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვიც ითამაშებს.

# ო. ნიორაძე



გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სკკპ წევრი 1946 წლიდან, დოცენტი **ოთარ იაკინთეს-ძე ნიორაძე.**

ო. ნიორაძე დაიბადა 1922 წლის 22 დეკემბერს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1943 წელს დაამთავრა. 1943 წლიდან ო. ნიორაძე მუშაობდა საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის საშუალო სკოლაში, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მასწავლებლად, თბილი-

...

# გასტროლები და შთაბეჭდილებები

# ხიბრძნე ხიცილიზა

## ნ. გოგოლის „რევიზორი" — მოსკოვის სატირის თეატრის სპექტაკლი

...

დელი სულისკვეთება პლუჩეკს ნაკლებ აღელვებს.

პლუჩეკი მომხრეა ყოფაცხოვრებითი გადაწყვეტისა. მისი „რევიზორი" ფსიქოლოგიური ყოფითი კომედიის ყალიბშია მოქცეული. იყოს სადავო ამ გზის ორიგინალობა, მთავარია არ დაირღვეს გოგოლის პერსონაჟთა სამყარო: დიახ, ერთ-ერთ ამოცანად რჩება ჩვენება წარსულისა: ასეთი იყო ძველი რუსეთი, ისტორიული სიზუსტე აუცილებელია. ჩვენ სადღა ვართ? მეოცე საუკუნე რას პოულობს იმ გარდასული დროის სურათებში? ანალოგიების, ხაზგასმული ასოციაციების გზა პლუჩეკს პრიმიტიულად ეჩვენება. „რევიზორს"

...

და ძლივს მოძრაობდნენ. პლუჩეკს არც ის მიაჩნია საჭიროდ, უმეცრებას და შეზღუდულობას გოროდნიჩისა თუ ანა ანდრეევნას, ლიაპკინ-ტიაპკინის თუ ზემლიანიკას გარეგნობაში მოუნახოს ფიზიოლოგიური გადაგვარების ნიშნები. პირიქით, გარეგნულად ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან. „ავადმყოფობა" არსებობს შიგნით, მათს არსებაში, ხასიათსა და ქცევებში ძუნწად გამომჟღავნებული. და, რაც მთავარია, იკვეთება სპექტაკლის ქვეტექსტი — არა გარეგნულ დახასიათებათა მეშვეობით, არამედ ფსიქოლოგიური მეორე პლანით. აქ კი ერთად არის სასაცილოც და სატირალიც, ირონიაც

...

არ ჰპირდება რაიმე ძალდატანება. ის თავისთავად მოქმედებს, სწვდება სიღრმეებს, გამოდის დროის ლოკალიდან და დღევანდელი ადამიანების დაუცხრომელი პოლემიკის, ძიებათა სფეროში

...

და ტკივილიანი ფიქრიც. ამ ადამიანებს პირუტყვული მიდრეკილებები აქვთ, ისინი წუმპისაკენ მიიწევენ. ეს ხდება მაშინ, როცა მოდუნებული, ერთფეროვანი ცხოვრება აკნინებს ზნეობ-

...



# ფეხბურთი

# თანაკლუბელთა ფრე

## „დინამო" თბილისი — „დინამო" კიევი — 0:0

3 ოქტომბერი, თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი.

მსაჯი ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

**თბილისი** — გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ებრალიძე, მუჯირი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე (ქორიძე), კოპალეიშვილი, ყიფიანი, წერეთელი, ჩელებაძე.

**კიევი.** — რუდაკოვი, კონკოვი, მატვიენკო, ს. კუზნეცოვი, რეშკო, ტრომკინი, ბურიაკი, სლობოდიანი, ბერეჟნოი, ონიშჩენკო, ბლოხინი.

ამ მატჩისათვის მეტოქეები საკმაოდ „შეთხელებული" შემადგენლობებით გამოვიდნენ — კიეველებს აკლდათ შეუძლოდ მყოფნი ვერემეევი, კოლოტოვი, მუნტიანი, ხოლო თბილისელებს — ტრავმირებული გუცაევი, ჩივაძე, დარასელია და ხინჩაგაშვილი.

— უკეთესს თამაშს ამ შემადგენლობიდან არც მოველოდით, — თქვა მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე მასპინძელთა უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა.

...

უპირველეს ყოვლისა საკუთარი კარის უვნებელყოფა და დროდადრო კონტრიერიში. ვინც ამ მატჩს ესწრებოდა, ცხადია, ადვილად შეამჩნევდა, რომ სტუმართა საჯარიმოზე, როგორც წესი, თავს იყრიდა 5-6, ზოგჯერ კი 8 კიეველი ფეხბურთელი, წინ კი მხოლოდ ონიშჩენკო და ბლოხინი (ამ დღეს ისიც რამდენადმე უკანდახეული იყო) თამაშობდნენ.

ცხადია, ასეთი მასირებული დაცვა ძალზე ძნელია გაარღვიო, მით უმეტეს, რომ ყიფიანიც, ჩელებაძეც და წერეთელიც ამას მეტწილად ცენტრიდან ცდილობდნენ. ფლანგები ამ დღეს თბილისელებს, შეიძლება ითქვას, გამოთიშული ჰქონდათ, რაშიც უდავოდ თავი იჩინა, პირველ ყოვლისა, გუცაევის არყოფნამ.

0:0 — ძველი მეტოქეები მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს.

ძნელი გამოცდა ელის თბილისის „დინამოს" ახლა — ერთი თვის განმავლობაში მან 8 მატჩი

...

**ო. ნოზაძე.**

# თამაშების ცხრილი

## „ა" კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 5 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" | 8 | 6 | 1 | 1 | 13-2 | 13 |
| „დინამო" მ. | 8 | 5 | 1 | 2 | 9-5 | 11 |
| „კარპატი" | 8 | 4 | 2 | 2 | 14-11 | 10 |
| „ზენიტი" | 9 | 4 | 2 | 3 | 10-10 | 10 |
| ცსკა | 8 | 4 | 1 | 3 | 12-9 | 9 |
| „სპარტაკი" | 8 | 3 | 2 | 3 | 10-9 | 8 |
| „დინამო" თბ. | 7 | 2 | 4 | 1 | 5-4 | 8 |
| „დინამო" კ. | 9 | 2 | 4 | 3 | 8-10 | 8 |
| „დინამო" მნ. | 10 | 2 | 4 | 4 | 8-10 | 8 |
| „ჩერნომორ." | 8 | 4 | 0 | 4 | 8-11 | 8 |
| „შახტიორი" | 8 | 2 | 3 | 3 | 6-4 | 7 |
| „არარატი" | 8 | 2 | 3 | 3 | 10-11 | 7 |
| „კრ. სოვეტ." | 8 | 2 | 3 | 3 | 8-11 | 7 |
| „ლოკომოტ." | 9 | 3 | 1 | 5 | 7-11 | 7 |
| „დნეპრი" | 8 | 3 | 0 | 5 | 8-12 | 6 |
| „ზარია" | 8 | 2 | 1 | 5 | 4-10 | 5 |

# მოკლედ

...

# ტელევიზია

## 5 ოქტომბერი

...

# რადიო

## 6 ოქტომბერი

...

ინსტრუმენტული ანსამბლისათვის, 19.00 — გ. შატბერაშვილი — „ლვარძლის მთიბავი", 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო ერევანი". ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00 — „ძი-

...

# თეატრი

## 5 ოქტომბერი

...

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი
380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02519 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14